დამტკიცებულია წევრთა საერთო კრების მიერ

2022 წლის 01 ივნისის კრების ოქმით N01/06

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია

Georgian National Motosport Federation

წესდება

(ახალი რედაქციით)

თბილისი

2022 წელი

თავი I. ტერმინოლოგია და განმარტებები

მუხლი 1. წინამდებარე წესდებაში და ამ წესდებაზე დაფუძნებულ სხვა ყველა დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ფედერაცია	ქართულად ა(ა)იპ საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია
1.2. წევრი	ფედერაციის წევრი, რომელსაც გააჩნია ხმის უფლება წევრთა საერთო კრებაზე
1.3 .ასოცირებული წევრი	ფედერაციის წევრი, რომელსაც არ გააჩნია ხმის უფლება წევრთა საერთო კრებაზე
1.4. საპატიო წევრი	ფედერაციის წევრი, რომელსაც არ გააჩნია ხმის უფლება წევრთა საერთო კრებაზე ამასთან, საპატიო წევრი განთავისუფლებულია საწევროს გადასახადისაგან.
1.5. კომისია	ფედერაციის წევრი ან არაწევრი ექსპერტთა მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც ახორციელებს საკუთარი დებულებით, ან ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ საქმიანობას, მათ შორის: ▪ კომისიის სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხორციელება და კონტროლი; ▪ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარადგინოს: რეგულაციები, ნორმები, პროცედურები, რეგლამენტები და პროექტები; ▪ საკუთარი სპეციფიკიდან გამომდინარე, იზრუნოს როგორც კომისიის, ასევე ფედერაციის განვითარებაზე, მათ შორის საერთაშორისო გამოცდილებისა და სიახლეების მოძიებით და დანერგვით.
1.6. სამუშაო ჯგუფი, საბჭო, კომიტეტი	კონკრეტული მიზნისთვის შექმნილი მოხალისე ან/და ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ახორციელებს საკუთარი დებულებით ან ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ საქმიანობას.
1.7.ტექნიკური დავალება	განსაზღვრავს და აღწერს კომისიის, სამუშაო ჯგუფის, საბჭოს ან კომიტეტის სამუშაოს. ყველა ჩამოთვლილი ერთეულისთვის ტექნიკური დავალება უნიკალურია და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ▪ რა მიზნით იქმნება ერთეული; ▪ რა პასუხისმგებლობა გააჩნია ერთეულს; ▪ რა უფლებამოსილება გააჩნია ერთეულს;

- რა შედეგების მისაღებად იქმნება ერთეული;
- როგორ მოხდება ერთეულის შედეგების შეფასება;

1.8. ადმინისტრაციული აპარატი	ფედერაციის მუდმივი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ფედერაციის და ფედერაციის სტრუქტურების გამართულ ფუნქციონირებას. აპარატში შედის ისეთი სამსახურები, როგორიცაა: ბუღალტერია, კანცელარია, იურიდიული სამსახური, შესყიდვების სამსახური და სხვა სამსახურები, საჭიროებიდან გამომდინარე.
1.9. ხმის უფლება	ხმის მიცემის უფლება
1.10. საერთო კრება	ფედერაციის წევრების (წევრი, ასოცირებული, საპატიო) კრება (ყრილობა), სადაც მიიღება ფედერაციასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, ასოცირებული და საპატიო წევრები, საერთო კრებაში მონაწილეობენ ხმის უფლების გარეშე, თუმცა საკუთარი მოსაზრებების და წინადადებების გამოხატვის შეუზღუდავად.
1.11. საერთო კრების თავჯდომარე	საერთო კრებაზე არჩეული პირი, რომელიც ხელმძღვანელობს საერთო კრების მუშაობას.
1.12. გამგეობა	საერთო კრებაზე არჩეული წევრებისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ფედერაციის წესდების შესაბამისად ღებულობს გადაწყვეტილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
1.13. პრეზიდენტი	საერთო კრებაზე არჩეული პირი, რომელიც წარმოადგენს და მართავს ფედერაციას საკუთრი კომპეტენციისა და წარდგენილი პროგრამის ფარგლებში. პრეზიდენტი ასევე არის გამგეობის წევრი.
1.14. აღმასრულებელი საბჭო	პრეზიდენტის მიერ შერჩეული სამუშაო ჯგუფი, რომელიც მართავს და ხელმძღვანელობს ფედერაციას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
1.15. აღმასრულებელი დირექტორი	პრეზიდენტის მიერ შერჩეული და გამგეობის მიერ დამტკიცებული პირი.
1.16. მოტო ტექნიკა	▪ მოტოციკლი ▪ „ეტლიანი“ მოტოციკლი ▪ კვადროციკლი (ATV, UTV, SIDE BY SIDE და მსგავსი ტექნიკა) ▪ ტრიციკლი ▪ მოპედი ▪ წყლის სკუტერი

- თოვლმავალი
- ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკა, მოდიფიცირებული თოვლზე, ყინულზე ან წყალზე სასიარულოდ
- ნებისმიერი სხვა მოტორიზირებული (შიდა წვის ძრავით ან/და ელექტრო ძრავით) სატრანსპორტო საშუალება ოთხზე ნაკლები ბორბალით

1.17. მოტო სპორტი — სხვადასხვა დისციპლინაში სპორტული შეჯიბრი მოტო ტექნიკის გამოყენებით და ყველაფერი რაც ამასთან არის დაკავშირებული

1.18. მოტო მოყვარული — პირი, რომელიც მართავს მოტო ტექნიკას

1.19. მოტოთემატიკა — მოტო ტექნიკასთან დაკავშირებული ყველა სახის აქტივობები, მათ შორის: სპორტული შეჯიბრებები, ტურიზმი, განათლება, უსაფრთხოების ნორმები, იურიდიული საკითხები და სხვა ყველა სფერო, რომელსაც შეხება აქვს მოტო ტექნიკასა და მის მოხმარება/გამოყენებასთან.

1.2 მოტოდრომი

- სპეციალურად მოწყობილი ადგილი მოტო ტექნიკის გამოყენებით შეჯიბრისათვის.
- მოტო ტექნიკის გამოსაცდელად განკუთვნილი ადგილი.
- ბილიკები სპორტული ღონისძიებისთვის (უგზოობაში)
- ასფალტირებული ან/და სპეციალური საფარით მოწყობილი საშეჯიბრო გზა სპორტული ღონისძიებისთვის.
- მოტო ტექნიკის სპორტული და არასპორტული სასწავლო სკოლებისთვის განკუთვნილი ადგილი.
- ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში გამოყოფილი ადგილი მოტოთემატიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებების მოსაწყობად.
- სპეციალურად მოწყობილი საერთო ან/და არასაერთო მოხმარების საშეჯიბრო გზა.

თავი II. ზოგადი დებულებები

მუხლი 2. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

,,საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია“ (შემდგომში ,,ფედერაცია“) წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ გაერთიანებას არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც, შექმნილია და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს კანონი ,,სპორტის შესახებ”, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების (ეროვნული სპორტული ფედერაციების) სახელმძღვანელო პრინციპებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საკუთარი წესდებისა და თავის სახეობაში შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცი(ებ)ის წესდებების/რეგულაციების შესაბამისად.

2.1 ,,ფედერაციის“ სრული სახელწოდებაა:
2.1.1 ქართულად: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია“;
2.1.2 ინგლისურად: Non-entrepreneurial (Non-commercial) Legal Entity Georgian National Motosport Federation.
2.2 ,,ფედერაციის შემოკლებული სახელწოდებაა:
2.2.1 ქართულად: ა(ა)იპ ,,სნმფ“
2.2.2 ინგლისურად: NNLE ,,GNMF“
2.3 ,,ფედერაციის“ იურიდიული მისამართად განისაზღვროს: საქართველო, ქ. თბილისი, გიორგი შატბერაშვილის ქუჩა, N 4, კორპუსი 7, ბინა 80
2.4 „ფედერაციის“ ელექტრონული ფოსტის მისამართად განისაზღვროს: info@motofederation.ge
2.5 ,,ფედერაციის“ ვებ-გვერდის მისამართად განისაზღვროს: https://motofederation.ge

მუხლი 3. სამართლებრივი მდგომარეობა/ სტატუსი

3.1 ,,ფედერაცია“ არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, იურიდიული პირის უფლებებს ,,ფედერაცია“ იძენს დადგენილი წესით საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
3.2 ფედერაციას შეიძლება ქონდეს განკერძოებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი და საბანკო ანგარიშ(ებ)ი (როგორც საქართველოში, ასევე შესაძლოა უცხოეთის საბანკო დაწესებულებებში), ბეჭედი საკუთარი დასახელებით და საიდენტიფიკაციო ნომრით, აგრეთვე, უფლებამოსილია ჰქონდეს შტამპი, ბლანკი და საკუთარი ემბლემა/ლოგო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი და ვიზუალური იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები.
3.3 ,,ფედერაცია“ წარმოადგენს პოლიტიკურად და ადმინისტრაციულად დამოუკიდებელ ერთეულს, ფედერაცია არ ეწევა/არ ერევა პოლიტიკურ საქმიანობაში.
3.4 ,,ფედერაციაში“ დაუშვებელია პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური ან გენდერული დისკრიმინაცია.
3.5 ,,ფედერაციის“ სამუშაო ენებს წარმოადგენს: ქართული ენა და ინგლისური ენა. ამასთან, ქართული ენაზე შესრულებულ დოკუმენტებს გააჩნია უპირატესი ძალა, ხოლო ინგლისური ენა გამოიყენება, საერთაშორისო სტანდარტების და რეგულაციების მისაღებად.

3.6 წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად ,,ფედერაცია“ უფლებამოსილია, გაწევრიანდეს სხვადასხვა საერთაშორისო/ადგილობრივ გაერთიანებებში ან მიიღოს მონაწილეობა ასეთი გაერთიანებების შექმნაში, რომელიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან.

3.7 ,,ფედერაცია“ საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს თავისი ქონებით. ,,ფედერაცია“ არ არის პასუხისმგებელი მისი წევრების ან/და ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირების ვალდებულებებისათვის.

3.8 ,,ფედერაცია“ უფლებამოსილია დააფუძნოს ფილიალები/წარმომადგენლობები საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ,

3.9 ფედერაციის მიერ დაფუძნებული ფილიალი, რეგიონული ფედერაცია ან სხვა ორგანიზაციული დანაყოფი ფედერაციის წევრი არ არის

3.10 ფედერაციის უფლებამოსილება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ფედერაციის წინამდებარე წესდება და მის მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად ფედერაციის ყველა წევრისათვის.

3.11 ფედერაცია აქტიურად არის ჩართული მოტოთემატიკასთან დაკავშირებული ყველა სახის აქტივობებში.

3.12 ფედერაცია, როგორც საქართველოს მთავრობის მიერ აკრედიტირებული პირი, ერთპიროვნულად ფლობს ეროვნული სპორტული შეჯიბრებების , სპორტული და არასპორტული სკოლების, მსაჯების, ინსტრუქტორების, ავტორიზაცია/აკრედიტაციისა და შედეგების გამოქვეყნების უფლებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

3.13 ნებისმიერი შეჯიბრი, რომელიც ჩატარდება ფედერაციისგან დამოუკიდებლად, არ აისახება ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ შედეგებში.

3.14 ფედერაცია, ერთპიროვნულად ფლობს მოტო სპორტში ,,საქართველოს ჩემპიონის“ ტიტულის მინიჭების უფლებას. შესაბამისად, ფედერაცია ერთპიროვნულად განსაზღვრავს შეჯიბრების წესებს, გასცემს საჭირო ლიცენზიებს, სერტიფიკატებს, ნებართვებს და ადგენს მონაწილეთა რეიტინგებს.

3.15 ფედერაცია ერთპიროვნულად ფლობს, ფედერაციის მიერ, ან ფედერაციის ეგიდით განხორციელებული შეჯიბრებების და სხვა ნებისმიერი ღონისძიებების ტრანსლაციის, ჩაწერისა და ნებისმიერი მედია საშუალებით, ან და მედიით გავრცელების უფლებას

თავი III. მიზნები და საქმიანობა

მუხლი 4. მიზნები და საქმიანობა

4.1 ,,ფედერაციის“ ძირითად მიზნებს და საქმიანობას წარმოადგენს:

4.2 მოტოთემატიკასთან დაკავშირებული არსებული, თუ სამომავლოდ ასამოქმედებელი რეგულაციების შეფასება, ანალიზი და განვითარების ხელშეწყობა;

4.3 მოტო ინდუსტრიის ფარგლებში საქმიანობის მაღალი სტანდარტების დანერგვა;

4.4 მოტოთემატიკასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

4.5 მოტოთემათიკის სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა;

4.6 მოტო მოყვარულთა მხარდაჭერა, მოტო სპორტის განვითარება, მოტო ტექნიკის და მისი უსაფრთხო გამოყენების და ზოგადად მოტოსპორტის პოპულარიზაცია და რეკლამირება როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ, მოტო აქტივობების წახალისება და ხელშეწყობა, მოტო ტურიზმის ხელშეწყობა და განვითარება,

4.7 ქართული მოტო სპორტის გატანა საერთაშორისო ასპარეზზე, მათ შორის, საქართველოს სპორტსმენებისა და ნაკრები გუნდების წარდგენა,

4.8 უსაფრთხო მოძრაობისა და უსაფრთხო სპორტის სწავლება, პროპაგანდა და ხელშეწყობა, როგორც ბავშვებში ასევე ნებისმიერი ასაკის პირებისათვის;

4.9 თანამედროვე მოტო სკოლების განვითარება და ხელშეწყობა, ისევე როგორც ზოგადად სწავლებისა და განვითარების ხელშეწყობა მოტოთემატიკის მიმართულებით;

4.10 ბავშვების და ახალგაზრდების ჩართვა მოტოსპორტში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა;

4.11 წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად ,,ფედერაცია" ეწევა შემდეგ საქმიანობას:

4.12 შეიმუშაოს მოტოდრომის სტანდარტები და გასცეს ლიცენზია მოხმარება/ გამოყენებაზე

4.13 ურთიერთობს სახელმწიფო ორგანოებთან, ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებთან ,,ფედერაციის" მიზნების განხორციელებისათვის;

4.14 ამზადებს და წარუდგენს როგორც სახელმწიფო ორგანოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს: კვლევებს, სტატისტიკებს, ცნობებს, ლიცენზიებს, ნებართვებს და წინადადებებს საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე.

4.15 შეიმუშავებს სამოქმედო გეგმებს;

4.16 იკვლევს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას მოტოთემატიკის რეგულირების სფეროში და დასკვნის სახით წარუდგენს სახელმწიფო ორგანოებს, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, და საერთაშორისო ორგანიზაციებს;

4.17 ამზადებს და დანიშნულებისამებრ წარადგენს დასკვნებს ინიცირებულ კანონპროექტებთან დაკავშირებით;

4.18 შეიმუშავებს სხვადასხვა სახის პროგრამებს და ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს, პრეზენტაციებს, რომელიც ხელს შეუწყობს ,,ფედერაციის" მიზნების განხორციელებას, მათ შორის საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას მოტოთემატიკის თავისებურობებთან დაკავშირებით;

4.19 ,,ფედერაცია" უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს „ფედერაციის" მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება „ფედერაციის" დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

თავი IV. ფედერაციის წევრობა

მუხლი 5. წევრები, წევრად მიღება

5.1 წინამდებარე წესდებით დგინდება „ფედერაციის " წევრის 3 (სამი) სტატუსი:

5.1.1 წევრი

5.1.2 ასოცირებული წევრი

5.1.3 საპატიო წევრი

5.2. „ფედერაციის“ წევრი

5.2.1 „ფედერაციის“ წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, მათ შორის: რეგიონული ფედერაცია, რომელიც დაფუძნებულია ფედერაციისა და მისი ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებლად რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრულ ყველა შემდეგ პირობას:

5.2.2 წევრობის მსურველმა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულმა პირმა (შემდგომში - „კანდიდატი“) წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით, გაწევრიანების მოთხოვნით მიმართა „ფედერაციას“

5.2.3 „კანდიდატი“ იზიარებს „ფედერაციის“ მიზნებსა და იცავს წინამდებარე წესდების და „ფედერაციის“ მიერ მიღებული აქტების მოთხოვნებს;

5.2.4 „კანდიდატის“ საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მოტოთემატიკასთან დაკავშირებული საქმიანობა (არანაკლებ 2 წლის გამოცდილებით) და საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად.

5.2.5 „კანდიდატი“ ფედერაციის გამგეობას (შემდგომში „გამგეობა”) მიმართავს წერილობითი განცხადებით „ფედერაციაში“გაწევრიანების თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

5.2.6 „კანდიდატის“ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

5.2.7 „კანდიდატის“ წესდება (მოქმედი რედაქციით);

5.2.8 „კანდიდატის“ უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილება „ფედერაციაში“ გაწევრიანების თაობაზე;

5.2.9 „კანდიდატის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5.2.10 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი იმ პირის, რომელიც წარმოადგენს „კანდიდატს“ (იმ შემთხვევაში, თუკი მიმართვას წარადგენს მინდობილი პირი) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე;

5.2.11 წინამდებარე წესდების **5.2.10** პუნქტით გათვალისწინებული მინდობილობა, ამავე პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას;

5.2.12 გაწევრიანების შესახებ „კანდიდატის“ განცხადების საფუძველზე „ფედერაციაში“ გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება „გამგეობის“ მიერ (არაუგვიანეს 1 თვისა), რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს, გამგეობის მიერ პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება ფედერაციაში გაწევრიანებაზე უარის ტოლფას გადაწყვეტილებად.

5.2.13 „კანდიდატი“ „ფედერაციის“ წევრის სტატუსს იძენს „გამგეობის“ მიერ მისი გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, წევრად რეგისტრაციის, საწევრო გადასახადის და გადაწყვვეტილების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

5.3. „ფედერაციის“ ასოცირებული წევრი:

5.3.1 „ფედერაციის“ ასოცირებული წევრები, შესაძლებელია იყოს საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული ნებისმიერი იურიდიული, ფიზიკური ან სხვა სამართლებრივი ფორმის მქონე პირი, რომელიც ირიბად ან პირდაპირი წესით ჩართულია მოტოთემატიკის სფეროში და რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ წინაპირობებს:

5.3.2 ასოცირებული წევრობის მსურველმა (შემდგომში - „ასოცირებული წევრობის მსურველი“) წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით, გაწევრიანების მოთხოვნით, მიმართა „ფედერაციას“

5.3.3 „ასოცირებული წევრობის მსურველი“ იზიარებს „ფედერაციის“ მიზნებსა და იცავს წინამდებარე წესდების, „ფედერაციის“ მიერ მიღებული აქტების მოთხოვნებს;

5.3.4 „ასოცირებული წევრობის მსურველი“ თავის საქმიანობას ახორციელებს მოტოთემატიკის სფეროში და მას ინტერესი აქვს ხელი შეუწყოს „ფედერაციის“ მიზნების მიღწევას;

5.3.5 „ასოცირებული წევრობის მსურველი“ „გამგეობას“ მიმართავს წერილობითი განცხადებით „ფედერაციაში“ გაწევრიანების თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები :

5.3.6 „ასოცირებული წევრობის მსურველის“ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან/და პასპორტი

5.3.7 „ასოცირებული წევრობის მსურველის“ წესდება (მოქმედი რედაქციით);

5.3.8 „ასოცირებული წევრობის მსურველის“ უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილება „ფედერაციაში“ გაწევრიანების თაობაზე;

5.3.9 „ასოცირებული წევრობის მსურველის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5.3.10 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი იმ პირის, რომელიც წარმოადგენს „ასოცირებული წევრობის მსურველს“ (იმ შემთხვევაში, თუკი მიმართვას წარადგენს მინდობილი პირი) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე;

5.3.11 წინამდებარე წესდების **5.3.10** პუნქტით გათვალისწინებული მინდობილობა, ამავე პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას;

5.3.12 ასოცირებული წევრობის კანდიდატი ფიზიკური პირის შემთხვევაში წარადგენს განაცხადს და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან/და პასპორტის ასლს.

5.3.13 გაწევრიანების შესახებ „ფედერაციის წევრობის მსურველის“ განცხადების საფუძველზე „ფედერაციაში“ გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება „გამგეობის“ მიერ უბრალო უმრავლესობით, რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს (არაუგვიანეს 1 თვისა), რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს, გამგეობის მიერ პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება ფედერაციაში გაწევრიანებაზე უარის ტოლფას გადაწყვეტილებად,

5.3.14 „კანდიდატი“ „ფედერაციის“ ასოცირებული წევრის სტატუსს იძენს „გამგეობის“ მიერ მისი გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, წევრად რეგისტრაციის და საწევრო გადასახადის გადახდის მომენტიდან.

5.4. „ფედერაციის“ საპატიო წევრი

5.4.1 „ფედერაციის“ საპატიო წევრები, შესაძლებელია იყოს ნებისმიერი მოქალაქეობის მქონე პირი, რომელიც ირიბად ან პირდაპირი წესით ჩართულია მოტოთემატიკის სფეროში და იზიარებს ფედერაციის მიზნებს

5.4.2 ფედერაციაში პირის საპატიო წევრად მიღებასთან დაკავშირებით საინიციატივო ჯგუფი მიმართავს გამგეობას. გადაწყვეტილება მიიღება „გამგეობის“ მიერ (არაუგვიანეს 1 თვისა), რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს, რის თაობაზეც ეცნობება რეკომენდაციის წარმდგენ ორგანოს. დადებითი პასუხის შემთხვევაში ავტომატურად ხდება ფედერაციის საპატიო წევრი, გამგეობის მიერ პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება ფედერაციაში გაწევრიანებაზე უარის ტოლფას გადაწყვეტილებად;

5.4.3 „საპატიო წევრმა უნდა გაიზიაროს „ფედერაციის“ მიზნები და დაიცვას წინამდებარე წესდების, „ფედერაციის“ მიერ მიღებული აქტების მოთხოვნები;

5.4.4 „საპატიო წევრს ინტერესი აქვს ხელი შეუწყოს „ფედერაციის“ მიზნების მიღწევას;

5.4.5 საპატიო წევრი განთავისუფლებულია წევრად რეგისტრაციის მოსაკრებლისგან და საწევრო გადასახადისაგან.

5.5 ფედერაციის წევრს ეკრძალება იმოქმედოს ფედერაციის სახელით გამგეობის მიერ მინიჭებული შესაბამისი რწმუნების/უფლებამოსილების გარეშე

5.6 წევრობა არ გადაეცემა სხვა პირებს, მათ შორის არ გადადის მემკვიდრეზე/ სამართალმემკვიდრეზე.

მუხლი 6. წევრების უფლება-მოვალეობები

6.1 „ფედერაციის“ წევრი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან მინდობილი პირის მეშვეობით და ,,ფედერაციის“ წევრს უფლება აქვს:

6.1.1 წარადგინოს „გამგეობის“ წევრობის კანდიდატები;

6.1.2 წარადგინოს ,,ფედერაციის“ პრეზიდენტის კანდიდატები;

6.1.3 მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის პროგრამებსა და პროექტებში თავისი კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად;

6.1.4 მონაწილეობა მიიღოს ,,ფედერაციის“ წევრთა საერთო კრებაში ხმის უფლებით;

6.1.5 წერილობითი განცხადების საფუძველზე გავიდეს ფედერაციის წევრობიდან ნებისმიერ დროს, საწევროს შენატანის უკან დაუბრუნებლად;

6.1.6 მიიღოს ფედერაციაში არსებული საჯარო ინფორმაცია და ასევე ინფორმაცია ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოებისაგან, მათი საქმიანობის შესახებ;

6.2 ,,ფედერაციის“ ასოცირებულ და საპატიო წევრს უფლება აქვს:

6.2.1 მონაწილეობა მიიღოს ,,ფედერაციის“მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში;

6.2.2 გაეცნოს ,,ფედერაციის“ წევრთა საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

6.2.3 მიიღოს ფედერაციაში არსებული საჯარო ინფორმაცია და ასევე ინფორმაცია ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოებისაგან, მათი საქმიანობის შესახებ;

6.2.4 წერილობითი განცხადების საფუძველზე გავიდეს ფედერაციის წევრობიდან ნებისმიერ დროს, საწევროს შენატანის უკან დაუბრუნებლად;

6.3 ,,ფედერაციის“ ყველა წევრი ვალდებულია:

6.3.1 დაიცვას ფედერაციის წესდება, პროპაგანდა გაუწიოს ფედერაციის მიზნებს, აქტიურად შეუწყოს ხელი ფედერაციის წინაშე მდგომი ამოცანების და ფედერაციის სამოქმედო პრინციპების განხორციელებას;

6.3.2 დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გაუმჟღავნებლობის ვალდებულებაც აკისრია ფედერაციის წევრებს;

6.3.3 დაიცვას და გაუფრთხილდეს ,,ფედერაციის“ რეპუტაციას და ქონებას;

6.3.4 წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დადგენილი წესითა და ოდენობით გადაიხადოს საწევრო გადასახადი, გარდა „საპატიო წევრისა“;

6.3.5 ფედერაციის შემადგენლობიდან გასვლის შემთხვევაში, დაფაროს მასზე რიცხული ფინანსური და მატერიალური დავალიანებები, გარდა „საპატიო წევრისა“.

6.3.6 საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილება წარუდგინოს „გამგეობას“ შესაბამისი მონაცემის ცვლილებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის ვადაში, ხოლო წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების შემთხვევაში - ცვლილების რეგისტრაციიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. წევრობის შეწყვეტა

7.1 ,,ფედერაციის“ წევრს ,,ფედერაციის“ წევრობა შეუწყდება:

7.1.1 ნებაყოფლობით, წევრის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, იურიდიული პირის შემთხვევაში იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილება ,,ფედერაციის“ წევრობიდან გასვლის თაობაზე;

7.1.2 საწევრო შესატანის გადაუხდელობის შემთხვევაში 6 (ექვსი) თვის განმავლობაში გარდა „საპატიო წევრისა“;

7.1.3 იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

7.1.4 ისეთი გარემოების წარმოშობის ან აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც შეუსაბამოა წევრის ,,ფედერაციაში“ წევრობასთან ან/და რომელიც გამოიწვევდა ამ წევრის ,,ფედერაციაში“ გაწევრიანებაზე უარის თქმას;

7.1.5 ისეთი საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც ეწინააღმდეგება ,,ფედერაციის“ მიზნებს;

7.1.6 წესდებითა და ,,ფედერაციის“ მიერ მიღებული აქტებით, გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული დებულებების/ნორმატიული აქტების პირობების, მოთხოვნების უხეშად დარღვევის შემთხვევაში;

7.1.7 ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ლახავს ან სერიოზულ საფრთხეს უქმნის ,,ფედერაციის“ რეპუტაციასა ან/და ავტორიტეტს, ზიანს აყენებს ან ქმნის ,,ფედერაციის“ ქონებისადმი ზიანის მიყენების სერიოზულ საფრთხეს;

7.1.8 არასაპატიო მიზეზით ,,ფედერაციის“ წევრთა საერთო კრებაში, ,,ფედერაციის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის სისტემატურად თავის არიდების შემთხვევაში, რაც აფერხებს ,,ფედერაციის“ მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს;

7.1.9 გადაწყვეტილება ,,ფედერაციის“ წევრობის შეწყვეტის შესახებ მიიღება „გამგეობის“ მიერ.

7.1.10 ,,ფედერაციის“ წევრობის შეწყვეტის შესახებ ,,საერთო კრების“ გადაწყვეტილება ეცნობება წევრს ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, გარდა წინამდებარე წესდების 7.1.1. და 7.1.3. პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.1.11 ,,ფედერაციის“ წევრობის შეწყვეტის შესახებ ,,საერთო კრების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და წევრი კარგავს ,,ფედერაციის“ წევრობის სტატუსს. ამასთან, ,,ფედერაციის“ წევრის გარიცხვის შემთხვევაში, უფლებამოსილება უწყდება ,,ფედერაციის“ გამგეობაში მის მიერ წარდგენილ წევრს.

7.1.12 წევრის წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეილება წარედგინება სამეწარმეო რეესტრს

7.2 დაუშვებელია ფედერაციაში ახალი წევრების მიღება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ამოწურვამდე 6 თვის განმავლობაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამგეობის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოცემული 6 თვის განმავლობაში

ფედერაციაში შესაძლებელია მიღებულ იქნეს ახალი წევრი იმ დათქმით, რომ ახალ წევრს ხმის მიცემის უფლება არ ექნება ფედერაციის პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებზე

თავი V. ფედერაციის მართვის ორგანოები

მუხლი 8. ფედერაციის მართვის ორგანოები

8.1 ფედერაციის მართვის ორგანოებია: ფედერაციის წევრთა საერთო კრება (შემდეგში „საერთო კრება”) და „გამგეობა“

მუხლი 9. საერთო კრება

9.1 ,,ფედერაციის“ მართვის უმაღლესი ორგანოა „საერთო კრება“. საერთო კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფედერაციის ყველა წევრს, ხოლო ხმის უფლება გააჩნიათ მხოლოდ ფედერაციის წევრებს.

9.2 საერთო კრებაზე, თითოეულ წევრს გააჩნია ერთი ხმა, იმ პირობით, რომ მას არ გააჩნია დავალიანება ფედერაციის წინაშე.

9.3 ხმის მიცემა დასაშვებია წერილობითი ფორმით.

9.4 საერთო კრების რეგულარული შეკრება ტარდება წელიწადში ერთხელ, ხოლო საარჩევნო რიგითი საერთო კრება მოიწვევა არაუგვიანეს 4 წელიწადში ერთხელ, პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვის ვადის გათვალისწინებით, საერთო კრების მოწვევის შესახებ ფედერაციის წევრებს უნდა ეცნობოთ წერილობით, ან კომუნიკაციების სხვა საშუალებით კრების ჩატარებამდე სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე, შეტყობინებაში აღინიშნება კრების ჩატარების ადგილი , დრო და დღის წესრიგი, ფედერაციის წევრებს საერთო კრებაზე წარმოადგენენ მათი წესდებითა და საჯარო რეესტრით განსაზღვრული, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები ან/და მინდობილი პირი.

9.5 გამგეობის ან/და პრეზიდენტის მოთხოვნით, შესაძლებელია ჩატარდეს რიგგარეშე საერთო კრება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საერთო კრების მოწვევის შესახებ ფედერაციის წევრებს უნდა ეცნობოთ წერილობით, ან კომუნიკაციების სხვა საშუალებით კრების ჩატარებამდე სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე, შეტყობინებაში აღინიშნება კრების ჩატარების ადგილი , დრო და დღის წესრიგი

9.6 ფედერაციის წევრთა არანაკლებ 25%-ს (მხოლოდ რიგგარეშე საერთო კრების შემთხვევაში).

9.7 საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე წევრების ორი მესამედი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კვორუმი არ შეიკრიბა პირველ მოწვევაზე, ერთი თვის ვადაში ინიშნება განმეორებითი კრება , განმეორებითი „საერთო კრება“ უფლებამოსილია დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

9.8 საერთო კრების გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად და ძალაში შედის მიღებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული კრების ოქმით.

9.9 საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებზე.

9.10 საერთო კრებაზე პრეზიდენტობის კანდიდატები, ვალდებული არიან წარადგინონ სამუშაო პროგრამა, რომელსაც ისინი განახორციელებენ პოზიციაზე არჩევის შემთხვევაში.

9.11 ადმინისტრაციული აპარატი ვალდებულია აწარმოოს საერთო კრების ოქმები.

9.12 საერთო კრება ღებულობს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

- **ფედერაციის განვითარების სტრატეგია;**
- **გამგეობის არჩევა;**
- **პრეზიდენტის არჩევა;**
- **პრეზიდენტის გადაყენება (უფლებამოსილების შეწყვეტა);**
- **წესდებაში ცვლილება;**
- **ფედერაციის მიზნების ცვლილება;**
- **ფედერაციის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია;**

9.13 საერთო კრებაზე ფედერაციის წევრის მიერ სხვა წევრისთვის ხმის უფლების დელეგირება დაუშვებელია

9.14 საერთო კრებასთან დაკავშირებული დეტალური პროცედურები და რეგულაციები განისაზღვრება დამატებით შიდა დებულებაში.

9.15 საერთო კრება ტარდება ნოტარიუსის მონაწილეობით, რომელიც საჯარო სამართლებრივი აქტით აფორმებს კრების ოქმს.

მუხლი 10. გამგეობა

10.1 ,,ფედერაციის" მართვის ორგანოა „გამგეობა". გამგეობა შედგება პრეზიდენტისგან და საერთო კრებაზე არჩეული წევრებისგან. აღმასრულებელი საბჭოს წევრები (გარდა პრეზიდენტისა) ესწრებიან გამგეობის სხდომებს ხმის უფლების გარეშე.

10.2 გამგეობის წევრთა რაოდენობას ადგენს საერთო კრება, თუმცა წევრთა რაოდენობა პრეზიდენტთან ერთად უნდა იყოს კენტი რიცხვი (არანაკლებ 3 და არაუმეტეს 15) წევრი ადგენს და წევრებს ირჩევს საერთო კრება.

10.3 გამგეობის არჩევა ხდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით. ვადის გასვლის შემდგომ, გამგეობის წევრებს უნარჩუნდებათ უფლებამოსილება, ახალი წევრების არჩევამდე.

10.4 ფედერაციის გამგეობის უფლებამოსილებებში შედის:

- **საერთო კრების გადაწყვეტილებების განხორციელების კონტროლი;**
- **საერთო კრების გადაწყვეტილებების განმარტება, ან/და დეტალური ჩაშლა;**
- **ფედერაციის ფინანსური/საინვესტიციო გადაწყვეტილებები. მათ შორის: სესხის აღება, პროექტის დამტკიცება, ქონების დაგირავება, ინვესტიციის განხორციელება და ა.შ.**
- **ფედერაციის კომერციული საქმიანობის ან/და პროექტის განხორციელება და ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყველა პროცესუალური საკითხები;**
- **ფედერაციის ეგიდით ჩატარებული ღონისძიებების საკითხები, მათ შორის: სპონსორობა, ტრანსლაციის უფლებები, მარკეტინგი, რეკლამა და სხვა;**
- **მსაჯთა კოლეგიის, დისციპლინარული/საარბიტრაჟო კოლეგიის შემადგენლობის და შიდა აუდიტორის დამტკიცება;**
- **სპორტული კომისიების შემადგენლობის, დებულების ან/და ტექნიკური დავალების დამტკიცება;**
- **სამუშაო ჯგუფების, კომისიების, კომიტეტების, საბჭოების, კოლეგიების შემადგენლობის, დებულების ან/და ტექნიკური დავალების დამტკიცება/ცვლილება;**
- **ფედერაციის დებულებების, კოდექსების, ნორმების და სხვა დოკუმენტების დამტკიცება;**
- **წარმოადგინოს ფედერაცია ყველა სამართლებრივ საკითხებში, პრეზიდენტის მეშვეობით;**

- **საწარმოების დაფუძნება ან სხვა საწარმოებში წილობრივი მონაწილეობის საკითხის გადაწყვეტა, დაფუძნებული საწარმოების წესდებების (დებულებების) დამტკიცება, საწარმოთა ხელმძღვანელების დანიშვნა/გათავისუფლება;**
- **ფედერაციის ქონების მართვა და განკარგვა;**
- **ფედერაციის საშტატო ნუსხისა და ხელფასის ფონდის განსზღვრა/დამტკიცება, ფედერაციის ბიუჯეტის ფარგლებში;**
- **მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება;**
- **საერთო კრებაზე მოითხოვოს პრეზიდენტის გადაყენება;**
- **შეარჩიოს დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია;**
- **ფედერაციაში წევრად მიღება**
- **ფედერაციის წევრობის გაუქმება;**
- **ფინანსური ანგარიშების დამტკიცება;**
- **პრეზიდენტის წლიური ანგარიშის დამტკიცება;**
- **საწევრო და წევრად რეგისტრაციის გადასახადი ოდენობის განსაზღვრა დამტკიცება;**

10.5 გამგეობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

10.6 გამგეობის სხდომაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობაზე ხმები გაიყოფა თანაბრად - პრეზიდენტს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

10.7 გამგეობის წევრს, გამგეობის გადაწყვეტილებით, უფლება აქვს მართოს რომელიმე კომისია ან სამუშაო ჯგუფი, რაც თავის მხრივ, ასახული უნდა იყოს კომისიის დებულებაში ან ტექნიკურ დავალებაში.

10.8 გამგეობა იკრიბება არანაკლებ თვეში ერთხელ ან/და პრეზიდენტის მოთხოვნით. გამგეობის წევრებს წერილობით, ან კომუნიკაციების სხვა საშუალებით ეცნობებათ სხდომის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ სხდომამდე არაუადრეს 5 (ხუთი) დღისა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ გამგეობის სხდომის ჩატარებასა და გამგეობის მიერ გადაწყვეტილების მიღებას დაუყოვნებლივ საჭიროებს ფედერაციის ინტერესები სხდომამდე 1 (ერთი) დღით ადრე.

10.9 გამგეობის წევრად შეიძლება არჩეული იყოს ფედერაციის ნებისმიერი წევრი, ერთი და იგივე პირი გამგეობის წევრი შეიძლება იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

10.10 გამგეობის სხდომებს ხელმძღვანელობს ფედერაციის პრეზიდენტი. გამგეობის პირველ სხდომაზე, პრეზიდენტი ირჩევს გამგეობის ერთ წევრს, რომელიც ხელმძღვანელობს გამგეობის სხდომებს პრეზიდენტის არ ყოფნის შემთხვევაში.

10.11 გამგეობის სხდომებზე არ დასწრება საპატიო მიზეზის გარეშე დაუშვებელია. მსგავსი შემთხვევის ორჯერ გამეორების შემთხვევაში, დამრღვევი წევრი ავტომატურად ირიცხება გამგეობის წევრობიდან და პრეზიდენტი იწვევს საერთო კრებას გამგეობის წევრის ჩანაცვლების მიზნით.

10.12 გამგეობის წევრს, რომელსაც გააჩნია დავალიანება ფედერაციის წინაშე, ეზღუდება ხმის მიცემის უფლება.

10.13 გამგეობა, უფლებამოსილია შექმნას აუდიტის კოლეგია, რომელიც იმოქმედებს საკუთარი დებულების და პროცედურების საფუძველზე და ანგარიშვალდებულია გამგეობის წინაშე.

10.14 გამგეობამ უნდა აწარმოოს ფედერაციის წევრთა ელექტრონული რეესტრი, რომელიც განთავსდება ფედერაციის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისთვის

მუხლი 11. პრეზიდენტი

11.1 პრეზიდენტის უფლებამოსილებებში შედის ყველა საკითხი, რაც არ არის უშუალოდ განსაზღვრული საერთო კრების ან გამგეობის უფლებამოსილებებში. მათ შორის, პრეზიდენტი უფლებამოსილია:

- **წარმოადგინოს ფედერაცია მესამე პირების წინაშე;**
- **მართოს ფედერაციის მიმდინარე საქმიანობა;**
- **აწარმოოს ფედერაციის ფინანსური საქმიანობა;**
- **ხელი მოაწეროს ყველა სახის დოკუმენტს ფედერაციის სახელით;**
- **დანიშნოს/გაათავისუფლოს ფედერაციის თანამშრომლები;**
- **დანიშნოს/გაათავისუფლოს აღმასრულებელი საბჭოს წევრები;**
- **მოახდინოს თავისი უფლებების ნაწილის დელეგირება აღმასრულებელ დირექტორზე ან სხვა პირზე, შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე;**
- **დაესწროს ფედერაციის ნებისმიერი კომისიის ან ჯგუფის მუშაობას და მოითხოვოს მათი მუშაობის ანგარიშები;**
- **გამონაკლის შემთხვევებში, იქ სადაც საკითხი ეხება ფედერაციის უსაფრთხოებას ან იმიჯს, მიიღოს გადაწყვეტილებები გამგეობის მაგივრად, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გამგეობას.**

11.2 პრეზიდენტი შეიძლება იყოს ფედერაციის ნებისმიერი წევრი, ფედერაციის წესდების მოთხოვნათა გათვალისწინებით. მისი არჩევა ხდება საერთო კრებაზე ოთხი წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდგომ, პრეზიდენტს უნარჩუნდება უფლებამოსილება ახალი პრეზიდენტის არჩევამდე. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ფედერაციის პრეზიდენტად ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

11.3 ფედერაციის პრეზიდენტს ირჩევს ფედერაციის წევრთა საერთო კრება ფარული კენჭისყრით.

11.4 ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, შესაბამის გონივრულ ვადაში, მაგრამ აღნიშნული ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ფედერაციის პრეზიდენტი/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ან გამგეობა ვალდებულია, მოიწვიოს საერთო კრება და აირჩიოს ფედერაციის ახალი პრეზიდენტი, ფედერაციის წესდებით საერთო კრების მოწვევისა და ჩატარებისთვის გათვალისწინებულ ვადებში და იმ პირობის დაცვით, რომ საერთო კრებამდე მოქმედი პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ამოწურვისთანავე, ახლად არჩეული პრეზიდენტი შეუდგება უფლებამოსილებების განხორციელებას.

11.5 ფედერაციის პრეზიდენტის ვადამდე გადადგომის/გადაყენების, ან სხვა რაიმე მიზეზით უფლებამოსილების შეწყვეტის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ფედერაციის საერთო კრების მიერ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე პერიოდში, წესდებაში პირდაპირი მითითების საფუძველზე, ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას (შემდგომ მითითებული რიგითობით) ასრულებს: ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან გენერალური მდივანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ფედერაციის გამგეობის უხუცესი წევრი. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების

შეუძლებლობის შემთხვევაში, მას ჩაანაცვლებს ამ პუნქტში მითითებული რიგითობით მომდევნო სხვა პირი, ამ მუხლის 11.6 პუნქტში განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით.

11.6 ამ მუხლის 11.5 პუნქტში მითითებული პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს 3 თვის ვადით. მოცემული ვადა, გამგეობის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 3 თვით. დაუშვებელია, პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდეს ჯამურად 6 თვეზე მეტი ვადით. ამასთან, მოცემული დანაწესი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ამ მუხლის 11.5 პუნქტში მითითებული გარემოება დგება იმ პერიოდში, როდესაც პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩენილი იყო 6 თვეზე მეტი ვადა. თუ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები პერიოდი, ამ მუხლის 11.5 პუნქტში მითითებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს არა უმეტეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩენილი ვადით.

11.7 ამ მუხლის 11.5 პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა და ახალი პრეზიდენტის არჩევა უნდა მოხდეს ამ მუხლის 11.4 პუნქტით დადგენილი წესით და 11.6 პუნქტში მითითებული ვადების დაცვით.

11.8 თუ ამ მუხლის 11.4, 11.5 და 11.6 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და განსაზღვრულ ვადებში ვერ მოხდება საერთო კრების ჩატარება ან/და ახალი პრეზიდენტის არჩევა, პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე, მასთან ერთად უფლებამოსილება უწყდებათ ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ს, გენერალურ მდივანსა და გამგეობას. მოცემულ შემთხვევაში, ფედერაციის მოქმედ წევრთა არანაკლებ 25%, ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ასარჩევად, დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

11.9 ამ მუხლის 11.8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რიგგარეშე საერთო კრების მომწვევი ფედერაციის წევრები (მოქმედ წევრთა არანაკლებ 25%) ქმნიან საინიციატივო ჯგუფს (არაუმეტეს 5 პირის შემადგენლობით), რომელიც უზრუნველყოფს საერთო კრების ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას.

11.10 ფედერაციის ხელმძღვანელების (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ი და გენერალური მდივანი) უფლებამოსილების „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეჩერებისას, ფედერაციის გამგეობა ან ფედერაციის მოქმედ წევრთა არანაკლებ 25%, ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ასარჩევად, დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე (საგანგებო) საერთო კრებას, რომელიც უნდა ჩატარდეს ფედერაციის ხელმძღვანელების უფლებამოსილების შეჩერებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

11.11 თუ ამ მუხლის 11.7, 11.8, 11.9 და 11.10 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ვადებში, ვერ განხორციელდება ამავე პუნქტებით განსაზღვრული საერთო კრების ჩატარება ან/და ახალი პრეზიდენტის არჩევა, იწყება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურები, ფედერაციის ლიკვიდაციის პროცესის განსახორციელებლად.

11.12 საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მოთხოვნისამებრ, ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის

მიერ წარდგენილ უნდა იქნეს ინფორმაცია ფედერაციის საშტატო ნუსხის, სახელფასო ფონდის, გასაწევი ხარჯებისა (მაგ.: საკომუნიკაციო, საწვავის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვ.) და დაფინანსების სხვა ალტერნატიული წყაროების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ.

მუხლი 12. აღმასრულებელი საბჭო

12.1 აღმასრულებელი საბჭო შედგება შემდეგი წევრებისაგან:

- **პრეზიდენტი**
- **ვიცე პრეზიდენტი**
- **ვიცე პრეზიდენტი სპორტში**
- **რეგიონალური წარმომადგენელი/ები**
- **გენერალური მდივანი**
- **ხაზინდარი**

12.2 აღმასრულებელი საბჭო ახორციელებს ფედერაციის ყოველდღიური საქმიანობს მართვას.

12.3 აღმასრულებელი საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი (როგორც წევრი, ისე არაწევრი), რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი ერთპიროვნულად.

12.4 აღმასრულებელი საბჭოს წევრები ასრულებენ პრეზიდენტის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს და მათზე მინდობილობით დელეგირებულ საქმიანობას. ამასთან:

- ვიცე პრეზიდენტი დროებით ახორციელებს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს (გარდა გამგეობასთან დაკავშირებული აქტივობისა), პრეზიდენტის არ ყოფნის შემთხვევაში;
- ვიცე პრეზიდენტი სპორტში, კურირებს ფედერაციის სპორტულ მიმართულებებს;
- რეგიონალური წარმომადგენელი/ები კურირებს/ებენ მოტოთემატიკასთან დაკავშირებულ აქტივობებს რეგიონებში
- გენერალური მდივანი (აღმასრულებელი დირექტორი) ხელმძღვანელობს ფედერაციის ადმინისტრაციის საქმიანობას, კურირებს და მართავს კომისიების, სამუშაო ჯგუფების და კომიტეტების საქმიანობას;
- ხაზინდარი (ფინანსური საქმიანობის ხელმძღვანელი პირი ან/და ფინანსური დირექტორი)

12.5 ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (როგორც წესი 1, ფედერაციის საქმიანობის მოცულობიდან გამომდინარე - არაუმეტეს 2) აირჩევა საერთო კრების მიერ, ხოლო გენერალური მდივანი (ადმინისტრაციული საქმიანობის ხელმძღვანელი პირი) და ხაზინადარი (ფინანსური საქმიანობის ხელმძღვანელი პირი) აირჩევა საერთო კრების ან გამგეობის მიერ, სამივე შემთხვევაში პრეზიდენტის წარდგინებით, არაუმეტეს 4 წლის ვადით. ვიცე-პრეზიდენტის, გენერალური მდივნისა და ხაზინადარის უფლებამოსილება წყდება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე.

12.6 გენერალური მდივანი და ხაზინადარი არ არიან გამგეობის წევრები.

12.7 ერთი და იგივე პირი ვიცე-პრეზიდენტი ან გენერალური მდივანი ან ხაზინადარი შეიძლება იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

12.8 გენერალური მდივნისა და ხაზინადარისთვის შრომის ანაზღაურების გაცემის და მათი ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს გამგეობის მიერ. ამასთან, მათი შრომის ანაზღაურების დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს როგორც

ფედერაციის საკუთარი შემოსავლებიდან ან არასაბიუჯეტო წყაროებით მოზიდული სახსრებიდან, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან (ამ სახელმძღვანელო პრინციპების 11.12 პუნქტის შესაბამისად სამინისტროსთვის წარდგენილი სახელფასო ფონდის ფარგლებში შეთანხმებული ოდენობის მიხედვით)

მუხლი 13. ადმინისტრაციული აპარატი

13.1 ადმინისტრაციული აპარატი ახორციელებს ფედერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, მათ შორის ისეთ საქმიანობას, როგორიცაა: ბუღალტერია, შესყიდვები, კანცელარია, სამართლებრივი მხარდაჭერა, სტატისტიკა და სხვა.

13.2 აპარატს უშუალოდ ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი (აღმასრულებელი დირექტორი)

მუხლი 14. კომისიები, კოლეგიები, საბჭო, სამუშაო ჯგუფები

14.1 კომისიების, სამუშაო ჯგუფების, კომიტეტების, საბჭოების და სხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა და შემადგენლობა განისაზღვრება მათ დებულებებში ან ტექნიკურ დავალებაში, რომელსაც ითანხმებს ფედერაციის გამგეობა. ხოლო, შესაბამისი პროცედურული საკითხები განისაზღვრება საპროცედურო დებულებაში.

14.2 აპარატი უზრუნველყოფს საერთო და გამგეობის კრებების ორგანიზებას და დაოქმებას.

თავი VI. ფედერაციის ქონება

მუხლი 15. ფედერაციის ქონება

15.1 ფედერაციის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, შემოწირულობების, სპონსორ-დონორი ორგანიზაციების დახმარებებისა და სხვა კანონიერი საშუალებების ხარჯზე და ამასთან, საკუთართან ერთად, ფედერაციას შეუძლია, მფლობელობაში გააჩნდეს სარგებლობაში (იჯარით, თხოვებით, უზუფრუქტით ან სხვა ფორმით) აღებული უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები), მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, ორგტექნიკა, ინვენტარი და სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია ფედერაციის მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად.

15.2 ფედერაციის ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რომელიც წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

15.3 ფედერაციაში პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ისა და გამგეობის წევრებისთვის შრომის ანაზღაურების გაცემისა და მისი ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საერთო კრების მიერ. ამასთან, შრომის ანაზღაურების დაფინანსება არ განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან ერთზე მეტი ვიცე-პრეზიდენტისა და ცხრაზე მეტი გამგეობის წევრისათვის.

15.4 ფედერაციის ფინანსური (ფისკალური) წელს წარმოადგენს კალენდარული წელი.

15.5 აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს გამგეობას ფედერაციის ფინანსების მართვის გეგმა, პროცედურები, რეგულაციები და კონტროლის მექანიზმი.

15.6 აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს გამგეობას ფონდის, სარეზერვო ფონდის მექანიზმი და მისი მართვა/განკარგვის პროცედურები.

15.7 გამგეობა ვალდებულია უზრუნველყოს ფედერაციის წლიური ფინანსური აუდიტის ჩატარება საქართველოში მოქმედი აუდიტორული კომპანიების მიერ და შედეგების წარდგენა საერთო კრებაზე.

15.8 ფედერაციას შეუძლია თავისი შემოსავლებიდან შექმნას სხვადასხვა სახის ფონდები.

მუხლი 16. შემოსავლის წყაროები

16.1 ფედერაციას ფინანსური შემოსავალი ძირითადი წყაროებია:

- საწევრო გადასახადი;
- განხორციელებული პროექტები;
- კომერციული აქტივობა;
- შემოწირულობები და გრანტები;
- სესხები და კრედიტები;
- შეჯიბრებების რეგისტრაციისა და დაშვების გადასახადები;
- ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლები;
- გაწეული მომსახურებით მიღებული შემოსავლები;
- ლიცენზიებისა, აკრედიტაციისა და სერთიფიკატების გაცემის გადასახადი;
- პერიოდული აუდიტის/შემოწმების გადასახადი;
- მიზნობრივი სახელმწიფო დაფინანსება და ასიგნებები;
- ფედერაციის ეგიდით და/ან ორგანიზებით განხორციელებული აქტივობების გაშუქების უფლების რეალიზაცია;
- სხვა სახის შემოსავლები, გამგეობის გადაწყვეტილებით;
- ფედერაციასთან არსებული საწარმოთა მოგების ფონდის ანარიცხები;
- საკუთარი ატრიბუტიკის, საფოსტო სპეციალური სერიების მარკების რეალიზაციიდან და სარეკლამო და სხვა ღონისძიებების შემოსავალი;
- საერთაშორისო და ქართული ორგანიზაციებიდან გრანტისა და დახმარებების სახით მიღებული ტრანშები.
- ტენდერით მიღებული შემოსავალი.

მუხლი 17. აუდიტი

17.1 ფედერაციის მიერ განხორციელებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმებას წელიწადში ერთხელ ახორციელებს დამოუკიდებელი აუდიტორი, რომელიც შემოწმების შედეგებს რეაგირებისათვის წარუდგენს გამგეობას და უახლოეს პერიოდში მოწვეულ ფედერაციის საერთო კრებას.

17.2 გამგეობის გადაწყვეტილებით ან ფედერაციის წევრთა 1/5-ის მოთხოვნით, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს ფედერაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის არაგეგმიური, აუდიტორული შემოწმება.

თავი VII. ფედერაციის რეორგანიზაცია ლიკვიდაცია

მუხლი 18. ფედერაციის რეორგანიზაცია

18.1 ფედერაციის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის შეცვლა, დაყოფა, და გაერთიანება (შერწყმა) წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. ფედერაციის ლიკვიდაცია

19.1 „ფედერაციის“ ლიკვიდაცია ხდება „საერთო კრების“ გადაწყვეტილების საფუძველზე ან შემდეგ შემთხვევებში:

19.1.1 გადახდისუუნარობის შემთხვევაში ან თუ შეუძლებელი გახდება წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნების მიღწევა;

19.1.2 თუ „ფედერაციის“ მთავარ საქმიანობად იქცევა სამეწარმეო საქმიანობა;

19.1.3 თუ მიღწეულ იქნა „ფედერაციის “ მიზნები;

19.1.4 საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

19.2 „ფედერაციის" ლიკვიდაციას ახორციელებს „საერთო კრების“ მიერ დანიშნული ლიკვიდატორი.

19.3 ლიკვიდაციის პროცესისას შეჩერებულ უნდა იქნეს ყველა მიმდინარე ოპერაცია, დადგინდეს სავარაუდო მოთხოვნები, ხელმისაწვდომი ქონება ნაღდ ფულად უნდა იქცეს და დაკმაყოფილდეს კრედიტორთა მოთხოვნები. ამის შემდგომ, დაუშვებელია დარჩენილი ქონების გადაცემა წევრებისათვის და შესაბამისად, აღნიშნული ქონება გადაეცემა შემდგომ ორგანიზაციებს:

19.3.1 ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მსგავს საქმიანობას;

19.3.2 საქველმოქმედო ორგანიზაციებს;

19.3.3 საქართველოს სახელმწიფოს.

19.4 ინფორმაცია ,,ფედერაციის“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში.

თავი VIII. კოდექსები და სხვა მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 20. ფედერაციის კოდექსები და სხვა მარეგულირებელი ნორმები

20.1 ფედერაციის კოდექსების ჩამონათვალია:

- ეთიკის კოდექსი;
- დისციპლინარული და საარბიტრაჟო კოდექსი;
- სამედიცინო კოდექსი;
- ანტი-დოპინგური კოდექსი;
- გარემოსდაცვითი კოდექსი;
- ტურისტული აქტივობის კოდექსი;
- სპორტული კოდექსი;
- საპროცედურო კოდექსი
- სხვა ნორმები, რომელთა საჭიროება შეიქმნება ფედერაციის საქმიანობის ფარგლებში;

20.2 ფედერაციის კოდექსები და ნორმები, სავალდებულოა შესასრულებლად ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი წევრებისთვის და პერსონალისთვის.

20.3 ფედერაციის კოდექსები და ნორმები წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

20.4 კოდექსები შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

20.5 კოდექსები შესაბამისობაში უნდა იყოს მოტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIM)-ის მიერ დადგენილ და საყოველთაოდ აღიარებულ მოთხოვნებთან.

20.6 ფედერაციის კომისიების მიერ შემუშავებულ კოდექსებს, ნორმებს და მათში ცვლილებებს ამტკიცებს გამგეობა და სავალდებულოა შესასრულებლად ფედერაციის ყველა წევრისთვის და ფედერაციაში დასაქმებულთათვის.

თავი IX. დასკვნითი დებულებები

მუხლი 21. ცვლილებები და დამატებები

21.1 წინამდებარე წესდებაში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა დაიშვება „საერთო კრების“ გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით, განსაზღვრული თანმდევი პროცედურის გათვალისწინებით.

მუხლი 22. დავების გადაწყვეტა

22.1 „ფედერაციასთან“ დაკავშირებული, ფედერაციასა“ და პერსონალს, „გამგეობის“ წევრებს და ,,პრეზიდენტს“ შორის არსებული, ასევე „ფედერაციასა “ და ფედერაციაში გაწევრიანების მსურველი პირებს და მესამე პირებს შორის წარმოშობილი ყველა დავა გარდა სპორტული დავებისა წყდება „საერთო კრების“ მიერ სპეციალურად შექმნილი კომისიის მეშვეობით, თუ ორივე მხარე თანახმაა. სხვა შემთხვევაში, დავა გადაეცემა საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს

22.2 სპორტული კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებით დავებს არეგულირებს ფედერაციის მიერ შემუშავებული დისციპლინალური და საარბიტრჟო კოდექსი.

მუხლი 23. დასკვნითი პირობები

23.1 თუ წინამდებარე წესდების რომელიმე დებულება გაბათილდება ან შეუსრულებადი გახდება, აღნიშნული გავლენას არ მოახდენს მთლიანად წესდების ან მისი სხვა ნორმების ნამდვილობაზე/შეუსრულებლობაზე. ბათილი/შეუსრულებელი დებულება შეიცვლება ისეთი ნორმით, რომელიც ,,ფედერაციას“ შესაძლებლობას მიცემს განახორციელოს თავისი მიზნები.

23.2 წინამდებარე წესდება შედგენილია ქართულ ენაზე რამდენიმე აუთენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ორიგინალს.

გიორგი ჩიქოვანი პ/ნ 01008022253 _____

ოთარ ბიბილეიშვილი პ/ნ 01031003930 _____

გრიგოლ ჩოქური პ/ნ01010013337 _____

დავით კიკალიშვილი პ/ნ35001033627 _____

გიორგი ოთიაშვილი პ/ნ 01010013533 _____

დავით ლობჟანიძე პ/ნ 01025008052 _____